ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია	27.12 .2021წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №88

მესტიის მუნიციპალიტეტის მერისათვის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის, მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის უსასყიდლო უზერფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

„ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის 1–ნაწილის “დ“ პუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 122–ე მუხლის მე–6 პუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N 669 დადგენილების 21–ე და 22–ე მუხლების, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 20/12/2022 წლის **№1226** მომართვის საფუძველზე,

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, უსასყიდლი უზურფრუქტის ფორმით, დროებით სარგებლობაში, გადასცეს მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, დ.მესტიაში, სეტის მოედანი N 1–ში მდებარე, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის), ს.კ.42.06.40.027 ნაწილი 23,9 კვ.მ. ფართი, შენობის მეორე სართულზე, ერთი წლის ვადით.

2.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12ა).

იგორ რატიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე მ/შ